




ეკონომიკური ზრდის ტემპი

II კვარტალი, 2020 წელი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2020 წლის II კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი უარყოფითი იქნება და -10.7%-ს დაფიქსირდება. მშპ-ის მოსალოდნელი კლება განპირობებულია COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული, როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების შოკებისაგან. ერთის მხრივ, მოსახლეობის თვითიზოლაცია და სხვადასხვა ტიპის აკრძალვები განაპირობებენ ერთობლივი მოთხოვნის ძლიერ შემცირებას, მეორეს მხრივ სამუშაო ძალის მიწოდების შემცირება და ინვესტიციების შემცირება ეკონომიკაში განაპირობებენ ძლიერი მიწოდების შოკს.

აღნიშნული პროგნოზი ემყარება დაშვებებს:


- ⇒ რომ მეორე კვარტალში ტურიზმის მოცულობა თითქმის განულდება, თუმცა ამავე დროს განულდება ქვეყნიდან გასული ტურისტების რიცხოვნობაც.
- ⇒ მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირების ფონზე შემცირდება კერძო მოხმარების მოცულობა, განსაკუთრებით არასასურსათო პროდუქტებზე და მომსახურების სექტორში.
- ⇒ მკვეთრად შემცირდება კერძო ინვესტიციები, რომლებიც მთავრობის საინვესტიციო აქტივობების მიუხედავად მნიშვნელოვნად განაპირობებენ მთლიანი ინვესტიციების შემცირებას და ეკონომიკური აქტივობის აღნიშნულ უარყოფით ტემპს.
- ⇒ მომსახურებით ვაჭრობის მკვეთრი კლების პარალელურად, მოსალოდნელია საქონლით ვაჭრობის მკვეთრი კლებაც.



*პროგნოზის ინტერვალი აღნიშნავს 50%-იან ალბათობას, რომ მშპ-ის ზრდის ტემპი მოცემულ ზღვრებს შორის იქნება.

- ⇒ შემცირებული მოხმარების და კერძო ინვესტიციების პარალელურად მოსალოდნელია რომ მნიშვნელოვნად შემცირდება საქონლის იმპორტის რაოდენობაც, ამას თან ერთვის ნავთობის ფასების შემცირებით გამოწვეული ფასისმიერი კლების ეფექტიც ენერგომატარებლების იმპორტზე.
- ⇒ მსოფლიოში მიმდინარე ანალოგიური მოვლენებიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ შემცირდება ექსპორტზე მოთხოვნა და შესაბამისად შემცირდება ექსპორტის მოცულობაც.

აღნიშნული დაშვებების რაოდენობრივი შეფასების შედეგად მოსალოდნელია, რომ იმპორტის მოცულობა უფრო მეტად შემცირდება, ვიდრე ექსპორტი და წმინდა ექსპორტის კომპონენტი +4.1%-ული პუნქტით განსაზღვრავს ეკონომიკური აქტივობის ცვლილებას, ხოლო აბსორბციის (მოხმარების და ინვესტიციების ჯამი) კომპონენტი მნიშვნელოვნად შემცირდება (განსაკუთრებით კერძო ინვესტიციების შემცირების გამო) და მშპ-ს ცვლილებას -14.8 %-ული პუნქტით განაპირობებს.



დამატებითი ინფორმაცია:

- [წლიური მაკროეკონომიკური პროგნოზები](#)
- [განმარტება მაკროეკონომიკური პროგნოზების მოდელის შესახებ](#)



საპარტევლოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

WWW.PBO.PARLIAMENT.GE